



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**წიაღის ეროვნული სააგენტო**



KA020132547190919

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

**ბრძანება № 81/ს**

22 / იანვარი / 2019 წ.

**შპს "Shkmeri Mining Co., Ltd"-ზე (ს/კ 404959504) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001150) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტისა და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 იანვრის N98 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბრძანებ:**

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს "Shkmeri Mining Co., Ltd"-ზე (ს/კ 404959504) გაცემული N1001150 ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით;
2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადად განისაზღვროს ბრძანების გამოცემიდან ორი თვე;
3. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსს - შორენა იოსებიძეს;
4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს "Shkmeri Mining Co., Ltd"-ს და განემარტოს, რომ უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
5. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად

მაია ბავრაშვილი